ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 66. კვირა, 25 ივლისი 1910 წ. დამატების № II

ტფილისი

კორინთლის ქალის ბიუსტი-პარტრეტი. მარმარილო.
ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

ევგინე

დრამა სამ მოქმედებად

შირვანზადესი

(თარგმანი სომხურიდან)

(შემდეგი *)

გამოსვლა VI.

ევგინე, მიჰრანა და მართა

(მიჰრანას და მართას დაბრუნებამდინ ევგინე კიბეებს იკრებს. დიმიდით შეხვდება)

მარ. შეგვაშინე, ევგინე, როგორ შეიძლება აგრე ნერვების აშლა?

ევგ. უბრალო რამ იყო, გადამიარა, არა ღირს მაგაზე ფიქრი...

მიჰრ. ათასჯერ მითქვამს შენთვის როდესაც გუნებაზე არა ხარ სტუმრები არ მიიღო. ჩემთვის შენი მოსვენება ყველაფერზე ძვირფასია.

მარ. გაზეთები სად დასტოვე?

ევგ. შენს ოთახში, სტოლზე.

მარ. ვახშმად ნუ მელით. (კადის მარცხენა მეორე კარებით).

გამოსვლა VII.

მიჰრანა და ევგინე

მიჰრ. (ბაუზა) ძლივს მარტო დავრჩით. (ჩუოტნის) დაჯექი! მინდა ერთს რამეზე მოგელაპარაკო. (სხდებიან სავარძელში ერთმანეთის პირდაპირ) ნუ შეგეშინდება, საშიში არაფერია. იცი რა, ევგინე: აი რამდენიმე თვეა, როგორლაც გამოიცვალე თითქოს, რაღაც გაწუხებს. რაღაც გაგხდომია სადარდელად და რამდენიც დრო მიდის, ეგ ცვლილება უფრო და უფრო გეტყობა. მითხარი, რა მოხდა?

ევგ. (ადგება) მაგის შესახებ დღეს ნურაფერს მკითხავ.

მიჰრ. უკაცრავად, ნება გაქვს არ მიპასუხო. ავადა ხარ, წადი მოისვენე (დგება).

ევგ. (ადგილით) გეწყინა? (დიმიდით) ავად არა ვარ, გადამიარა, ნუ სწუხარ!

მიჰრ. მაგრამ იმას კი ვერ მომატყუებ, რომ დარდი არა გაქვს, ნუ სტყუი, მოტყუება შენ არ გიხდება.

ევგ. (ამოოხვრით) არ მიხდება?.. (შუბლზე ხელს ისვამს) გამიშვი, მინდა გაგამხიარულო...

მიჰრ. მუსიკა უფრო აგაღელვებს.

ევგინე. ეგ მაშინ, თუ სტუმრებთან ვუკრავ. თუ კი სტუმრები არ არიან, მუსიკა ამშვიდებს ჩემს ნერვებს. (დაჯდება როიალთან. მიჭრანა ეჯვიანათ დადგება იმასთან. ევგინე უკრავს რადაც სევდიან კილოზე, მაგრამ მალე თავს ანებებს; თავს დუნავს, ბაუზა) არა, არ შემიძლიან. (მიჭრანა მხრებს იწევს, ეჯვის თვალით უყურებს) ოო, რა ბულია! ასე მგონია ჰაერი არ არის (ადგება, ფანჯრის ფარდას გადასწევს, და გაადებს) რა მშვენიერი საღამოა, წვიმის შემდეგ მთვარე! ცა როგორ მოწმენდილია! (უახლოვდება და ბრინჯაოს დამფის სინათლეს მოუკლებს, მთვარის სინათლე მკრთალად აშუქებს ოთახს).

მიჰრ. ცივა, შეიძლება შეგცივდეს, შორს დადეგ! (კალთას დაუჭერს და ფანჯარას მოაშორებს. მერე ფანჯარას მიხურავს, დამბის სინათლეს უმატებს და უყურებს ეურადღებით).

ევგ. ნეტავი არ იქნება შემცივდეს და ავად გავხდე. ნეტავი მოვკვდე, ოჰ, ღმერთო ჩემო, აუტანელია!

მიჰრ. (ბაუზა) ევგინე, მიყურე!.. (მიუახლოვდება და ხელს დაუჭერს) ყოველთვის ჭკვიან ქალათ გთვლიდი...

ევგ. ჭკვიანი!.. მაგას ნუ მეტყვი. (სიჩუმე ჩამოვარდება)

მიჰრ. ჰა, მეტყვი თუ არა რაზედ ფიქრობ?

ევგ. გითხრა? კარგი! აი აქ დაჯექი. (სხდებიან) ყური დამიგდე, დიდიხანია შენთვის უნდა მეამბნა ერთი ამბავი, ზღაპარი, როგორც გსურს ისე გაიგე. არ ვიცი რომელ წიგნში წამიკითხავს და როდის, მაგრამ ჩემზე დიდი გავლენა იქონია. გესმის?

მიჰრ. მესმის.

ევგ. იყო და არა იყო, რა, არ ვიცი სად, ვსთქვათ შორეულ აღმოსავლეთში, არაბეთის ანუ ინდოეთის ერთ მდიდარ ქალაქში ერთი საწყალი ქვრივი. იმის მეუღლე, ფრიად პატიოსანი და მამაცი ოფიცერი, სიკვდილის შემდეგ, თავის ცოლსა და ერთად ერთ ქალს არაფერს სარჩოს არ უტოვებს, თავის იარაღის გარდა, მაგრამ ქალს დედისაგან გადაეცემა ერთი სულიერი თვისება—უკიდურესი თავმოყვარეობა. ქალი არც ძალიან ლამაზი იყო, არც მახინჯი, არც ძალიან ჭკვიანი და არც სულელი. დედას უყვარს ის ფრო, ვიდრე თავისი თვალის ჩინი, ეალერსება დედის უანგარო სიყვარულით. არაფერს არ ზოგავს იმისთვის, და თავის შეძლებაზე უფრო მეტ სწავლა-განათლებას აძლევს.



მწერალი და დრამატურგი კნუტ ჰამსუნი.
(დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო.)

მიჰრ. ეგ საინტერესოა, მერე?..

ევგ. ერთ დღეს იმ ქალს დაინახავს ერთი პატიოსანი, ენერგიული, ჭკვიანი კაცი (უფურებს მიჭრანას თვალებშია) ერთი სიტყვით, ადამიანი, მოსწონს და იმ წუთშივე გადასწყვეტავს მის შერთვას. დედა სიხარულით თანხმობას აძლევს. ქალს არ უყვარს ის კაცი, დიდხანს ებრძვის თავის თავს, მაგრამ ბოლოს თანახმობას უცხადებს (გრძნობით) თავის დედის გასახარებლად. მისდევს პატიოსან კაცს უსიყვარულოთ, მაგრამ შემდეგში გაიცნობს, და არამც თუ მარტო შეიყვარებს, არამედ პირდაპირ თაყვანსა სცემს, როგორც კერპს. კეთილ კაცს-კი უყვარს, ენდობა და გარშემო ახვევს სიმშვენიერეს და ყველაფერს, რაც ამშვენებს ქალის ცხოვრებას...

მიჰრ. (ბაუზა) მერე?..

ევგ. (ამოოხვრით; შუბლზე ხელს წაისვამს) მაგრამ მალე კაცის სიკეთე ღრღნის რჩილივით იმის გულს, ქმარი ატყობს მწუხარებას და მიზეზს. ჰკითხავს. ცოლი ფეხებში უვარდება და ეუბნევა: „შენი უსაზღვრო სიყვარული მტანჯავს... დიდ ვალად მაძევს—აი ჩემი მწუხარება. თავმოყვარე ვარ,

*) ფს. სურათებიანი დამატება № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემიძლიან ავიტანო ეგ ვალი“. პატიოსანი კიცი გაოცებული ეუბნება: „სულელი ხარ, პირველად ვხედავ, რომ მოსიყვარულე ქალმა თავის ქმრის სიყვარულის გამო იტანჯოს“. „დიახ, უპასუხებს ცოლი, შენი სიყვარული მტანჯავს. ნუ შემიყვარებ და არამც თუ მხოლოდ ნუ შემიყვარებ, შემიძულე კიდეც, ცუდად მომექეცი, მცემე, შემაგინე და ნაკლებად დავიტანჯები“. (პაუზა) ქმარი არ უსრულებს იმის საოცარ თხოვნას. მაშინ თავმოყვარე ცოლი ნელ-ნელა ილევა დარდისგან, ჭლექდება და კვდება. (პაუზა) აი მთელი ზღაპარი. (დგება).

მიჰრ. (რომელიც ეურადღებით უსმენდა, ტოტა სიჩუმის შემდეგ) ეგ ზღაპარია?

ევგ. ზღაპარია...

მიჰრ. სულ მიამბე?

ევგ. სულ.

პოლონელთა საერო დღესასწაული.

იაგელოს ძეგლი კრაკოვში.

(იხ. „სახ. გაზ.“ № 58)

მიჰრ. (ადგება ნელ-ნელა, უეურებს ევგინეს სახეზე) არა, ვგონებ ერთი რამ დაგავიწყდა. ეგ ზღაპარი ვიცი. თავმოყვარე ცოლი ზნეობრივ თავის ქმარზე უფრო მაღლა ყოფილა. იმდენად მაღლა, რომ ქმრის ყოველი ღირსება ჰქრება იმასთან. თავმოყვარე ქალი იმდენად მომხიბლავი ყოფილა, იმდენად მიმზიდველი, რომ თავისი ერთი ღიმილით აჯილდოვებს ქმრის ყოველ სიკეთეს (ჭკოტნის) ევგინე, ზღაპრების თქმა არ იცი, უფრო კარგს იზამ რომ მიამბო ნამდვილი ამბავი.

ევგ. ნამდვილი ამბავი? (პაუზა. მიჭრანა უეურებს ევგინე ორივე ხელებს მხრებზე დაუწყობს, უეურებს თვალებში) რამდენი სიკეთეა შენს თვალებში! (ხმა უთრთის) მე კი?., (თვალებ-ევსება ცრემლებით) კმარა... (ხელებს იდებს მიჭრანას მხრებიდან და ქვითინით მირბის საწოლ ოთახისკენ).

მიჰრ. (გაოცებული უეურებს იმის უკან და როდესაც ევგინე სრულიად მიეფარება, პაუზა) არ მესმის... (ხელს შუბლზე იდებს).

ფარდა.

მოქმედება მეორე

იგივე ოთახი და მორთულობა. შუადღის პირველი საათია. ქუჩის მხარეს ფანჯრები ღიაა. იატაკზე და ავეჯეულობის ერთ ნაწილზე ადგას აპრილის მზის სასიამოვნო სხივები.

გამოსვლა I.

რიფსიმე, მართა, მერე ევგინე

რიფსიმე. (შემოდის დერეფნის კარებიდან შლიაპით და პალტოთი. იეურება კარშემო. არავის არა ხედავს, მიდის ჯერ მიჭრანას კაბინეტის კარებთან, ეურს უგდებს. ხმა არ ესმის, მიდის საწოლ ოთახის კარებთან, უნდა შეეიდეს, მაგრამ გადიფიქრებს და უკან ბრუნდება. მარცხენა სიდრმის, სასადილო ოთახის კარებიდან შემოდის მართა, ჩაცმული, შლიაპით) ოხ, სადა ხართ? (ერთმანეთს ჭკოტნიან) შემოვედი, არავინ არ არის, მოახლეც კი არა, კარები კი ღია დაუტოვებია ქურდებისთვის.

მარ. უეჭველია, მიჭრანას დავიწყებია მოახლის დაძახება, რომ კარები დაეკეტა. მიჭრანა გულმავიწყია.

რიფ. ჟენია სახლშია?

მარ. დიახ. გვიან ადგა, იკვამს.

რიფ. ეხლა? (თავის საათს ხინჯავს) პირველია, ავად ხომ არ არის?

მარ. არ ვიცი. მაგრამ ი თითონაც. (შემოდის ევგინე საწოლი კარებიდან. აცვია საშინაო, ძვირფასი ფეურო კაბა ახალ მოდაზე შეკერილი) საღამო მშვიდობისა...

ევგ. დიახ, გვიან ავდექი. მხოლოდ განთიადისას ჩამეძინა. (დედას ჭკოტნის).

რიფ. რატომ?

ევგ. წიგნს ვკითხულობდი.

რიფ ნეტა როდის უნდა აიღო ხელი წიგნის კითხვაზე (მართას) ბავშვობიდან წიგნების მოყვარეა. ისეც კი ყოფილა, რომ ერთი წიგნი ძალით გამომგლეჯია ხელიდან, დამიმალავს, ნახევარი საათი არც კი გასულა სხვა აეღია. ჭირია, სწორედ ჭირი.

ევგ. (მართას) სად მიემზადები ეგრე?

მარ. (ხელთათმანებს იცვამს) მინდა სურათიანის ცოლთან წავიდე. მაგრამ ჯერ უნდა შეეიდე გალამქარიანის ცოლთან მიჭრანამ მომცა ორასს მანეთი, უნდა დღეს უსათუოთ წავიღო იმ ახალი საზოგადოებისთვის.

რიფ. (ევგინეს) მარგო რას აკეთებს? სთქვი და!

ევგ. ძიძამ წაიყვანა სასეირნოთ (მართას) მაგ ფულებს ნუ წაიღებ!

მარ. რატომ?

ევგ. მე ეგრე მსურს.

მარ. ეგ ყაირათობაა თუ კაპრიზი?

ევგ. როგორცა გსურს—გაიგე, მხოლოდ მაგ ფულებს ნუ წაიღებ!

მარ. კარგი. აიღე! (ფულებს აძლევს).

ევგ. შეინახე, შენა გქონდეს, მერე დაუბრუნე მიჭრანას.

მარ. მე შენი ლაპარაკი არ მესმის. ეჰ, დედი, მაპატიე, მე მეჩქარება, მაგრამ ჩქარა დავბრუნდები.

რიფ. მეც დიდი ხანი არ დავრჩები. (მართა მიდის).

გამოსვლა II.

ევგინე და რიფსიმე

ევგ. ეგ სად მიეშურები, „მამა“? შლიაპა აიხადე, ერთად ვისაუზმოთ.

რიფ. არა, უნდა წავიდე მამიდასთან. ორი თვეა არ მინახავს, სირცხვილია. იმას შენ ძალიან უყვარხარ, ერთავად გაქებს. ვისაც შენ უყვარხარ, მეც ის მიყვარს. გამაგებინე ევგინე, დღეს თვალწარბი დამეავებული რათა გაქვს?

ევგ. აკი გითხარი, უძილობის გამო მეთქი

რიფ. ჰო, მართლა, აკი მითხარი. გონებაზე აღარა ვარ. იცი, ჟენია, შენი ჯვრის წერის უკან გონება აღარა მაქვს. სიხარულისაგან მამივიდა, სიხარულისაგან. ევ-

გინე ბედნიერი ხარ, მეც მთვრალისავითა ვარ. ჩემო თვალის ჩინო, ჩემო სულიკო (ჭოტნის) დღე დღეზე ლამაზდები. აი რასა ნიშნავს კარგი ცხოვრება. ეგ რა არის? კიდევ ახალი ტანისამოსი? ოხ, ოქროა, ოქრო მიჰრანა, დედოფლისავით გინახავს. გუშინ ჩემთან იყო, ათასჯერ გაქო. ჩემიც მადლობელია, რომ შენისთანა ქალი გავზარდე და იმას მივათხოვე. ძლიერ უხარიან და შენი მადლიერია!..

ევგ. (დაცინვით იცინის) ღფრო გაეხარდება, როდესაც ყველაფერს გაიგებს.

რიფ. იმან ყველაფერი იცის, ყველაფერი. ყველაფერი უამბე. ისე უყვარს მამიშენის ხსოვნა, რომ აზრად აქვს იმის სახელობაზე ერთი სტიპენდიანტი გაზარდოს.

ევგ. თათონვე გითხრა?

რიფ. თითონვე მითხრა, გუშინ. აი, მგონი, ენკენისთვიდანვე დაუნიშნავს სტიპენდიას.

ევგ. ნებას არ მივცემ.

რიფ. ვაჰ! რატომ?



ეძიმ ალამალოვის მოკვლის გამო
თამარ და არკადი მარტიროსიანცები.

ევგ. საჭირო არ არის. უმაგისოდაც ჩვენ იმის დიდი მოვალენი ვართ.

რიფ. მოვალე? რითი? მადლობა ღმერთს, სხვა სიდედრებისავით იმის კისერზე არა ვზივარ და იმის პურით არა ვცხოვრობ.

ევგ. მე იმისი ღირსი არა ვარ...

რიფ. ვინ გითხრა, ღირსი არა ხარო? პოლკოვნიკი მირველოვის ქალი ვისი ღირსი არ არის? ის თუ კეთილი გულისაა, ჭკვიანია, ფულს ბევრს იგებს, სახელი აქვს, შენც ლამაზი ხარ, ჭკვიანი, ანგელოზისავით უმანკო...

ევგ. (ოხვრას მაღამს) უმანკო, ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა ტანჯვაა?.. (ადგება, მიდის ერთ-ერთ ფანჯარასთან).

რიფ. (მიუახლოვდება) შენ ავადა ხარ?

ევგ. (სასწრაფით შეიკავებს თავს) უძილოთა ვარ, უძილოთ. შენ რომ წახვიდე, მე უნდა ლოგინში ჩავწვე...

რიფ. ძალიან კარგს იზამ, შვილო... აი მივდივარ... (ჭოტნის მოისმის ზარის ხმა).

ევგ. აი, ხედავ, ერთ საათს არ მაყენებენ, მოვისვენო. ეტყობა სტუმარია. ჯერ თმებიც არ გამისწორებია. ცოტა მოიცადე, მე ეხლავე მოვალ. (გადის საწოლ ოთახის კარებით. ერმანე შიგნით იწვევს გაბრო აზარიანს და ეუბნება „აქ არიან“),

გამოსვლა III.

რიფსიმე და გაბრო აზარიანი

გაბრო აზარიანი. (აცვია კოხტად, უკანასკნელ მოდაზე. სახე უტინის, მიხვრა-მოხვრა ნაზი, ხმა დინჯი და კეთილი. შორიდან თავს უკრავს, მიუახლოვდება რიფსიმე) იქედი მაქვს, არ დაგვიწყებივართ.

რიფ. ვაჰ, გაბრო!.. ეგ რომელი ხატისაგან? (გაბრო აზარიანი ხელზე ჭოტნის, ხოდო ის აზარიანს შუბლზე).

გაბ. ფულისა. დედი, მამონასი. ყველანი ფულისთვის აქ მორბიან, მეც აქ გამოვიქეცი.

რიფ. ძალიან მოხარული ვარ, შვილო, მობძანდი, დაბძანდი, ქეიფში როგორა ხარ. (გაბრო ჩამოჯდება სავარძელზე, მხოდოდ დაიცდის, რომ ჯერ რიფსიმე დაჯდეს) ვაჰ! ვაჰ! თვალებს არ უჯერებ. სთქვი და! რა ამბავია? საქმეზე მოხვედი?

გაბ. არა. წარმომადგენელად გამომგზავნეს ერთ ახალ საზოგადოებისგან.

რიფ. ჰო? ვინ იცის, ორმო უნდა მოთხაროთ, ნავთი ამოიღოთ...

გაბ. დიახ, ეგეთი რამ. სთქვი, თქვენ როგორღა ხართ? ევგინე? გავიგეთ, გავიგეთ.

რიფ. (კვეხნით უჩვენებს კარშემო) ხედავ სულ ჩემი ჟენიჩკასთვის არის გამართული.

გაბ. (კარშემო იყურება) მშვენიერია, ძალიან მოხერული ვარ. ამბობენ, ძალიან ჭკვიანი და პატიოსანი კაცია და ძალიან კარგი ადვოკატიაო.

რიფ. ერთი სიტყვით, ჟენია გამიბედნიერდა, მადლობა უფალსა. ეჰ, თქვენები როგორ არიან?

გაბ. ჩემი დაც წარსულ კვირას დაინიშნა.

რიფ. აბა, სთქვი, და გამახარე. რომელი დაინიშნა?

გაბ. პატარა, ლიზა...

რიფ. ვიზე?

გაბ. ერთ სტუდენტზე, ექიმი უნდა გამოვიდეს.

რიფ. ღმერთმა ორივეს კარგი ბედი აღირსოთ. დამიჯერე, შვილო, შენი დებიც და შენც ყოველთვის ნამდვილ შვილებსავით მყვარებიხართ. ძალიან გამეხარდა. ჩემი ქალის გაბედნიერების შემდეგ მინდა, რომ მთელი ქვეყანა გაბედნიერდეს. ახ, როგორ უყვარს! როგორ უყვარს ჩემი ჟენია...

გაბ. (ხაბირაზის ფერცხლის სათუთუნეს ამოიდებს) შეიძლება?

რიფ. მოსწიე, ვაჰ, დაგვიწყებია რომ მეც ვეწევი?

გაბ. (ართმევს ხაბირაზს) მე თქვენი არც ერთი ჩვეულება არ დამვიწყებია. ეს ძალიან კარგი პაპიროსია. (რიფსიმე გამოართმევს ხაბირაზს აზარიანი წუმწუმს ანთებს, ჯერ იმას აძლევს მოსაწევათ, მერე თითონ სწევს) თითონ ბოზარჯიანცმა დაამზადებინა ჩემთვის თავის ფაბრიკაში. ერთი დიდი ყუთი მოვიტანე. თუ ნებას მომცემთ, ხვალ რამდენიმე ასს გამოგიგზავნით.

რიფ. (სწევს) ძალიან კარგია. სრულობით არ გამოცვლილ ხარ, ისევ ის გაბრუა ხარ, ყოველთვის ზდილობიანი, კეთილი, კავალერი...

გაბ. თქვენ კი გამოცვლილხართ, გასუქებულხართ, გაყმაწვილებულხართ, გალამაზებულხართ...

რიფ. (შექებული) ამ დალოცვილ ქალაქში ყველანი სუქდებიან...

გაბრო. დალოცვილი? ეგ რისგან არის, რომ სხვები სწყევლიან ამ ქალაქს, თქვენ კი ლოცავთ?

რიფ. ცოდოს იდებს, ვინც სწყევლის. ამ ქალაქისთანა ქალაქი არსად მოიპოვება: შენი ტფილისი რა არის ამისთან. აქ ყველაფერი კარგია. ხალხი ჭკვიანია, მშრომელი, სიკეთეს კი ნულარ იტყვი, აქ ბოროტი ადამიანი არ არის. შურრი არ იციან, შვილო. ტფილისში კი, ოჰ, ოჰ, ოჰ, კაცს ჰყლაპამენ. ჩემი ჟენია იქ რომ ესე გაბედნიერებულიყო, უ, უ, უ, ყველანი შურით გასკდებოდნენ, არაფერი არ დარჩებოდა, რომ არ მოეგონათ ეგეები კიდეც ქმრისათვის გაეყარათ. აქ ხალხს დრო არა აქვს შურის ძიებისა. ახ, რა დაგვიანდა, ჟენია. მე ცოტა მეჩქარება, შვილო, მაპატიე. აი მოდის.

ევგ. (შემოდის რა დაინახავს კაბრუას, შეკრთება, აშფოთდება და გაშეშებული დარჩება).

ყ. კ—ნისა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3